ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ზაალ მამალაძეს

მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მოამზადა განაკარგულების პროექტი ,,სესხის აღების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ".

საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის 2016 წლის 12 ივლისს გაფორმებული გრანტისა და სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში საქართველომ მყარი ნარჩენების მართვის პროქტისათვის მიიღო დაფინანსება. აღნიშნული პროეტის ფარგლებში, სახელმწიფომ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისათვის შეისყიდა კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანები. აღნიშნული ქონების საფასური მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილი უნდა იქნეს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-100 მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საქართველოს მთავრობის ნებართვით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და საკუთარი სახელით, კაპიტალური ინვესტიციის განსახორციელებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით აიღოს სესხი/სასესხო ვალდებულება იურიდიული პირისგან. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასული 3 საბიუჯეტო წლის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების საშუალო წლიური ოდენობის 10 პროცენტს. (478.29 ლარი) აღნიშნულ

აღნიშნულ თანხაზე მეტი მოცულობით სესხის აღება მუნიციპალიტეტს შეუძლია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოსა და მის მიერ კონტროლირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან. მოცემულ შემთხვევაში ამ რაოდენობას სესხის საერთო მოცულობა აღემატება. (246,256 ევრო).

მუნიციპალური განვითარების ფონდი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისათვის შეისყიდის, განაბაჟებს და გადასცემს 3 კომპაქტორიან ნაგავზიდ მანაქანას და 100 ცალ ნარჩენების კონტეინერს. ფონდი გადასცემს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს პროექტის ქონებას, რომლის საფასური განისაზღვრება 246,256 ევროს ოდენობით. მუნიციპალიტეტის მიერ გადასახდელი თანხა მოიცავს მხოლოდ სესხის თანხას დამატებული საპროცენტო განაკვეთი. სესხის ხანგრძლივობაა 10 წელი, საშეღავათო პერიოდი 2019 წლის 28 ოქტომბრამდე. ანგარიშსწორება იწარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარში) გადახდის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ლარის მიმართ ევროს ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის გამგებელი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თეა უჯმაჯურიძე.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: ირაკლი კუჭავა